ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №1/050923/4

ქ.თბილისი **05 სექტემბერი, 2023 წელი**

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ხელშეკრულების დამდები მხარეები ერთის მხრივ სსიპ „შემოსავლების სამსახური“ სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მიხეილ ახვლედიანის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16, ს/კ №204525585, სახელმწიფო ხაზინა, კოდი №TRESGE22, ანგარიში/სახაზინო კოდი 70701

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

და მეორე მხრივ **შპს „ჯეოსტილი“** (შემდგომში „მიმწოდებელი“), დირექტორის კონსტანტინე მელაძის სახით, იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ჯიქიას ქ., №5, ტელ : +995 593 313 738; ელ-ფოსტა: kotemeladze888@gmail.com; ს/კ №205125933, სს „თიბისი ბანკი“; ბანკის კოდი: TBCBGE22, ანგარიშის ნომერი: GE94TB1900036020100009

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

1. შესყიდვის ობიექტის შესახებ ინფორმაცია

1.1 შემსყიდველმა სსიპ - შემოსავლების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების საფასურიდან მიღებული სახსრებით გამოაცხადა **სამზარეულოს ავეჯისა და სასადილო მაგიდების (CPV39141400 - ჩამონტაჟებული სამზარეულო; CPV39143210 - სასადილო მაგიდები)** შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერი **(NAT230016282)** და ტენდერის შედეგად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი **9 300.00** (ცხრა ათას სამასი ლარი და 00 თეთრი) ლარად.

1.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **9 300.00** (ცხრა ათას სამასი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

1.3 საქონლის ერთეულის ფასი და ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასთან და მონტაჟთან.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

2.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

2.2.1. საქონლის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

2.2.2. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე მიწოდებული საქონლის ან/და მისი ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან - ხელშეკრულების დანართი №1-ში მოცემულ მახასიათებლებთან შესაბამისობის დადგენა ინსპექტირების აქტის გაფორმება.

2.2.3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

2.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სსიპ „შემოსავლების სამსახურის“-ს უფროსის ბრძანებით განსაზღვრული პირთა ჯგუფის უფლებამოსილი წევრი ან წევრები.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1 შესყიდვის ობიექტის დასახელებები, რაოდენობა, ერთეულის ფასი, საერთო ფასი და ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია ხელშეკრულების დანართში №1-ში, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1 საქონლის მიწოდება თანმდევი მომსახურებით - მონტაჟით, ყველა ხარჯის გათვალისწინებით მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან **21 (ოცდაერთი)** სამუშაო დღის ვადაში ხელშეკრულების დანართი №1-ში მოცემული პირობების შესაბამისად.

4.2 საქონლის მიწოდება თანმდევი მომსახურებით - მონტაჟით უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აბზიანიძის N4.

4.3. მიწოდებული საქონელი უნდა იყოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

5.2. იმ შემთხვევაში თუ, მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს მიწოდებული საქონლის მიღებას, ხოლო თუ, საქონლის მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ საქონელი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ნაკლოვანი საქონელი და დაუბრუნოს იგი მიმწოდებელს მიმწოდებლის ხარჯით.

5.3. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 5.2. პუნქტის საფუძველზე არ განხორციელდა საქონლის მიღება, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების 13.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად და ამავდროულად განესაზღვრება არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღე რათა უზრუნველყოს ნაკლოვანი საქონლის შეცვლა სათანადო ხარისხის საქონლით.

5.4 მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს საქონლის მიწოდებისას მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადებები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან).

5.5. შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ამოწმებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებათა შესრულების კონტროლის განხორციელების მიზნით მუდმივმოქმედი ინსპექტირების ჯგუფის უფლებამოსილი წევრის/წევრების მიერ ინსპექტირების განხორციელების ფაქტს და შესაბამის ინსპექტირების აქტზე მისი/მათი ხელმოწერის არსებობას. შესაბამისი ფორმით შედგენილი ინსპექტირების აქტზე ხელმოწერების არსებობის შემთხვევაში ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ხელს აწერს მიღება-ჩაბარების აქტს.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ფაქტიურად მიწოდებული და დამონტაჟებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3.ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების 5.4. პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ინსპექტირების აქტის, მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;

7.1.2. „შემსყიდველს“ მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.3. უზრუნველყოს ნაკლოვანი საქონლის შეცვლა 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;

7.1.4. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.5.დროულად განიხილოს “შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება;

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

7.3.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

7.4. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

7.4.1. აწარმოოს მიწოდებული პროდუქციის ხარისხისა და რაოდენობის კონტროლი;

7.4.2.. განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.

8. გარანტია

8.1 საქონლის ტექნიკური მახასიათებლები და ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ ხელშეკრულების ფასების ცხრილში (დანართი №1) მითითებულ მაჩვენებლებს.

8.1.1. მიწოდებულ საქონელზე ვრცელდება საგარანტიო პირობა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან 1 (ერთი) წლის ვადით. ამასთან, მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი იქნება ახალი, არ იქნება დაზიანებული (არ გამოავლენს ხარვეზებს), შესაბამისობაში იქნება დანართ №1-ში მითითებულ მაჩვენებლებთან და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს საგარანტიო პერიოდში აღმოჩენილი ნებისმიერი ხარვეზის (დეფექტის), აღმოფხვრა ან/და წუნდებული საქონლის შეცვლა ახლით 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს მიწოდებული საქონლის ხარისხისა და რაოდენობის კონტროლი;

8.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი` ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების 4.1 პუნქტით გათვალისწინებული ავეჯის მიწოდების თანმდევი მომსახურებით - მონტაჟით ვადების გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,05 %-ის ოდენობით;

13.2. შემსყიდველი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების მე-8 მუხლით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შემთხვევაში ყოველ კონკრეტულ ფაქტზე დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,15%-ის ოდენობით;

13.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მოცემულ მომენტში გადასარიცხი თანხის 0,05%-ის ოდენობით;

13.4. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული საქონლის მიწოდების დროს გამოვლინდა, რომ აღნიშნული საქონელი არ შეესაბამება შერჩევა/შეფასების ეტაპზე წარმოდგენილ ნიმუშს ან/და დანართ N1-ში არსებულ მოთხოვნებს ან/და დარღვეულია წინამდებარე ხელშეკრულების 7.1.3 პუნქტი, აღნიშნული გარემოება ჩაითვლება არაჯეროვნად და მიმწოდებელი დაჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ის ოდენობით და შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2023 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, გარდა ამ ხელშეკრულების მე-8 მუხლით განსაზღვრული პირობისა.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ „შემოსავლების სამსახური“	შპს „ჯეოსტილი“
---	---
მიხეილ ახვლედიანი	კონსტანტინე მელაძე
ფინანსური დეპარტამენტის უფროსი	დირექტორი

LEPL REVENUE SERVICE

Digitally signed by LEPL REVENUE SERVICE
Date: 2023.09.05 18:34:21 +04'00'

Konstantine Meladze 53001010412

Digitally signed by Konstantine Meladze
Date: 2023.09.05 16:32:17

GEOSTYLE
Tbilisi, Georgia Djikia 5 Tel/Fax: (995 32) 372 149 E-mail: kotemeladze@mail.ru

შპს ,,ჯეოსტილი" 24 აგვისტო 2023 წელი

დანართი N1 - ფასების ცხრილი

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება/ ესკიზი	შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მახასიათებლები	ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის წარმოშობის ქვეყნის და მწარმოებელი კომპანიის შესახებ	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	მთლიანი ღირებულება (ლარი)	მოწოდების ვადა და საგარანტიო პირობები
1	**სამზარეულო (თანმდევი მომსახურებით -მონტაჟით) (ზომა: 150*90*60; 150*90*35)** **ესკიზი N1**	1. კორპუსი ლამინირებული ფილა სისქ. 18 მმ 2. უჯრები ტელესკოპურ მექანიზმზე (ნელი დახურვით); 3. ნიჟარა უჟანგავი ფოლადის (სისქით 2 მმ) ოთხკუთხედი; 4. შემრევი (მირითადი მასალა-თითბერი); 5. რეგულირებადი ფეხები; 6. ჭურჭლის სამრობი ჩასამონტაჟებელი; 7. ზედაპირი ლამინირებული ფილა (კუთხოვანი წინა წიბოთი) 38 მმ; 8. ალუმინის სახელურები; 9. მეტალის პლინტუსი; 10. პვს-ს კრომკა 2 მმ დამუშავდება, დაიფრეზება.	საქართველო შპს ,,ჯეოსტილი"	1	2200.00	2200.00	ავეჯის მიწოდება (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟით) განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 21 (ოცდაერთი) სამუშაო დღეში მოწოდებულ „საქონელზე“ სწორი ექსპლუატაციის პირობებში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ვრცელდება1 (ერთი) წელი.
2	**სამზარეულო (თანმდევი მომსახურებით -მონტაჟით) (ზომა: 245*90*60; 240*90*35)** **ესკიზი N2**	1. კორპუსი ლამინირებული ფილა სისქ. 18 მმ 2. უჯრები ტელესკოპურ მექანიზმზე (ნელი დახურვით); 3. რეგულირებადი ფეხები; 4. ზედაპირი ლამინირებული ფილა (კუთხოვანი წინა წიბოთი) -38 მმ; 5. ალუმინის სახელურები; 6. მეტალის პლინტუსი; 7. პვს-ს კრომკა 2 მმ დამუშავდება, დაიფრეზება.	საქართველო შპს ,,ჯეოსტილი"	1	2400.00	2400.00	
3	**სამზარეულო (თანმდევი მომსახურებით -მონტაჟით) (ზომა: 200*90*60; 110*90*60)** **ესკიზი N3**	1. კორპუსი ლამინირებული ფილა სისქ. 18 მმ 2. უჯრები ტელესკოპურ მექანიზმზე (ნელი დახურვით); 3. რეგულირებადი ფეხები; 4. ზედაპირი ლამინირებული ფილა (კუთხოვანი წინა წიბოთი) -38 მმ; 5. ალუმინის სახელურები; 6. მეტალის პლინტუსი; 7. პვს-ს კრომკა 2 მმ დამუშავდება, დაიფრეზება.	საქართველო შპს ,,ჯეოსტილი"	1	1300.00	1300.00	
4	**სასადილო მაგიდა (ზომა: 90*90*74.2 სმ)** **ესკიზი N4**	1. მაგიდის ზედაპირი ლამინირებული "მდფ"-ს ფილა 36 მმ, ორმაგი (ფეხი, ფაქტურა შეთანხმდება დამკვეთთან); 2.მაგიდის ფეხი: ცენტრალური დგარი ფოლადი მილი დ=40მმ (1 ც) პერიმეტრის ღეროები ფოლადი მილი; დ=12მმ (8 ც); 3. მაგიდის ფეხის ძირი: ფოლადის ფურცელი სისქ, 8მმ 4. მდფ-ის ფილას გაუკეთდება პლასტმასის კრომკა 2 მმ, წიბოები დამუშავდება, დაიფრეზება; 5. ლითონის ელემენტები შეიღებება ელ. სტატიკური მეთოდით.	საქართველო შპს ,,ჯეოსტილი"	10	340.00	3400.00	
					მთლიანი ღირებულება	**9300.00**	

შპს ,,ჯეოსტილი"

დირექტორი; კ. მელაძე